საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

წერეთელი გრიგოლ

გ. წერეთელი

წერეთელი გრიგოლ (1870–1938), ფილოლოგ-ელინისტი, პაპიროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საბჭოთა კავშირში. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1917). 1920 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პეტერბურგში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი (1893). იყო იმავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი (1902-04), იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის პროფესორი (1905-14), პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე (1914-20). 1914 წელს გ. წერეთელს მიენიჭა ბერძნული სიტყვიერების დოქტორის ხარისხი. 1920 წელს ი. ჯავახიშვილის მოწვევით თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ. 1920-38 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, ერთდროულად - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი. მისი ნაშრომები ეძღვნება ბერძნული პალეოგრაფიის, დამწერლობისა და ლიტერატურის ისტორიას. დიდი ამაგი დასდო ბერძნული, ქართული და რუსული პაპირუსების კოლექციების შესწავლას, ანტიკური მწერლობის ნიმუშების

რუსულ ენაზე თარგმნას - პირველმა თარგმნა რუსულად აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკა", ჰეროდას "მიმიამბები".

გ. წერეთელი იმსხვერპლა XX ს. 30-იანი წლების რეპრესიებმა.